



თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა
კურსების კატალოგი

სამხრეთ კავკასია შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების ფართო
კონტექსტში

მიზანი:

კურსის მიზანია მონაწილეთათვის სიღრმისეული ინფორმაციის მიწოდება სამხ. კავკასიის რეგიონის შესახებ, რეგიონში მიმდინარე პროცესების ანალიზი უსაფრთხოების თვალსაზრისით, ისევე როგორც სოციო-ეკონომიკური საკითხების და განვითარების დინამიკის მიმოხილვა.

განსახილველი საკითხები:

- სამხრეთ კავკასია: რეგიონის განსაზღვრება და პოლიტიკური დინამიკა, ქვეყნების დახასიათება და ურთიერთკავშირი, რეგიონის კონფლიქტების რუქა და მიმოხილვა, რეგიონული სამკუთხედი - საერთო მონახაზი, ჩრდილოეთ კავკასია და გავლენა სამხრეთ კავკასიაზე;
- რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა;
- თურქეთის და ირანის საშინაო და საგარეო პოლიტიკა;
- NATO რეგიონში, NATO-ს პერსპექტივები შავი ზღვის რეგიონში;
- აშშ რეგიონში - ძირითადი დეტერმინანტები;
- ევროკავშირის სტრატეგიული პოლიტიკა რეგიონში;
- უსაფრთხოების სისტემისა და კონფლიქტების დეტერმინანტები, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, აფხაზეთის კონფლიქტი, კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში, აგვისტოს ომი, უკრაინის კონფლიქტი, ჰიბრიდული მიდგომის გამოწვევები, ტერორიზმი რეგიონულ ჭრილში;
- რეგიონის სტრატეგიული როლი ენერგო-მომარაგებაში, რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობა და პერსპექტივები (ინტერ და ინტრა);

- ახლო აღმოსავლეთის კრიზისი და მოსალოდნელი შედეგები სამხრეთ კავკასიისთვის (პოლიტიკა, უსაფრთხოება, მიგრაცია და აშ.); რუსეთის როლი ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში (გავლენის ტრადიცია და არსებული ქანიზმები);
- სამხრეთ კავკასია: იდენტობა-კულტურა-რელიგია, სამომავლო ხედვა - რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივები.

სასწავლო ამოცანები:

- სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების ანალიზი - რეგიონისთვის მნიშვნელოვანი გეოგრაფიული და პოლიტიკური კონცეპციების (ხედვების) გაანალიზებას;
- პოლიტიკური დინამიკის, არსებული კონფლიქტების და სხვა წინააღმდეგობრივი ხასიათის საკითხების სიღრმისეული განხილვა მათ შორის ისტორიული გამოცდილებისა და იდენტობის საკითხების გათვალისწინებით.

კურსის შედეგად განვითარებული კომპეტენციები:

- კრიტიკული აზროვნება;
- პრობლემების და შესაძლებლობების სიღრმისეული ანალიზის უნარი.

სწავლების ფორმა: სალექციო კურსი.

სწავლების მეთოდოლოგია:

ინტერაქტიული ლექციები

მთავარი სპიკერები

დისკუსია/დებატები

სიმულაცია

როლური თამაშები

სამიზნე აუდიტორია: რეგიონით დაინტერესებული ქართველი და უცხოელი მსმენელები, რომლებიც ძირითადად სახელმწიფო უწყებებს წარმოადგენენ. შესაძლებელია კერძო სექტორის და აკადემიური წრეების ჩართულობაც. საერთაშორისო მონაწილეები ძირითად წარმოადგენენ ნატო-სა და ევროკავშირის, ისევე როგორც სხვა პარტნიორი ქვეყნების საშუალო დონის მენეჯერებს და რელევანტურ საკითხებზე მომუშავე ექსპერტულს, აკადემიურ და დიპლომატიური წრეების წარმომადგენლებს.

კურსის ხანგრძლივობა: 10 დღე.

მონაწილეთა რაოდენობა: 25-30.

სწავლების ენა: ინგლისური/ქართული.

კოდი: SC-2021.